საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11900/01
17/11/2021

11900-01-2-202111171756

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 9 ნოემბრის N19999 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადება (მათ შორის არსებულ ცხრილებში მოცემული ინფორმაცია) წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართული ფონტით და ერთიანი შრიფტით;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „სკრინინგის ანგარიში დაიწერა გზშ-ის ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დასადგენად“. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელება არ საჭიროებს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში შეფასებულია მდ. ტეხურის წყლის დაბინძურების რისკები, თუმცა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მდ. სტორის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელება, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044